საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

KA010173085020317

№1135 27 / თებერვალი / 2017 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს
შრომისა და დასაქმების პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ელზა ჯგერენაიას

ქალბატონო ელზა,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2017 წლის 14 თებერვლის №01/8775 წერილი, რომელიც შეეხებოდა ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართში შესული 2004 წლის 13 დეკემბრის ევროსაბჭოს №2004/113 დირექტივით მოწესრიგებულ საკითხებზე პასუხისმგებელი უწყების იდენტიფიცირებას, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

უპირველეს ყოვლისა, განვმარტავთ, რომ აღნიშნული დირექტივა მიზნად ისახავს დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის სფეროებში საქონლისა და მომსახურების მიწოდების კუთხით ქალისა და მამაკაცის თანაბარი მოპყრობის პრინციპის დანერგვას და დისკრიმინაციისა და უთანასწორობის აღმოფხვრას. დირექტივის დებულებების თანახმად, საქონელსა და მომსახურებაზე როგორც წვდომის, ისე მიწოდების სფეროში საპენსიო და დაზღვევის პირობები განისაზღვრება წინასწარ შერჩეულ კვლევის აქტუალურ მეთოდებზე დაყრდნობით, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დონის მაჩვენებლების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში თანასწორობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულებაში სადაზღვევო პრემიებისა და სარგებლის გამოთვლისას სქესის, როგორც ფაქტორის, გამოყენება არ გამოიწვევს პრემიებისა და სარგებლის ოდენობაში განსხვავებებს დაზღვეულთათვის, როგორც ამას მოითხოვს მითითებული დირექტივის მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფი. საგულისხმოა, რომ დირექტივის დებულებები ვრცელდება ყველა იმ პირსა და ორგანიზაციაზე როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათ შორის, საჯარო დაწესებულებებზე, რომლებიც ახორციელებენ საქონლისა და მომსახურების საზოგადოებისთვის მიწოდებას (დირექტივის მე-3 მუხლი).

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამ უფლებამოსილების განხორციელებისას, სახალხო დამცველი განიხილავს ფიზიკური ან იურიდიული პირების განცხადებებსა და საჩივრებს; შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტებს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციებს; ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე; შეიმუშავებს მოსაზრებებს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და მათ საკანონმდებლო წინადადების სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს; დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას ან პირს და სხვ.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“. ამავე დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, ზედამხედველობის სამსახური წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართალმემკვიდრეს დაზღვევისა და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში. სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. გარდა ამისა, ზედამხედველობის სამსახურის მიზნები და ფუნქციებია: დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება; კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და მისი შესრულების კონტროლი; ახალი კანონპროექტებისა და სხვა პროექტების, ასევე, არსებულ ნორმატიულ აქტებში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების შემუშავება, და, რაც მოცემულ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანია, მომხმარებელთა უფლებების დაცვა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის № 249 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სამინისტროს საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია. სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკა, თავის მხრივ, მოიცავს პენსიისა და სოციალური დახმარების უზრუნველყოფის საკითხების რეგულირებას. გარდა ამისა, სამინისტროს ფუნქციაა სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული გეგმისა და მექანიზმების შემუშავება, ამ მიზნით სფეროს მარეგულირებელი აქტების მომზადება და სრულყოფა. ამ უკანასკნელი ფუნქციის განხორციელება ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს და, მათ შორის, მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და დაზღვევის საკითხებსაც უკავშირდება.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, კანონით რეგულირებულ სფეროში კომპეტენტურ ორგანოდ განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულებით კი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „კომპეტენტური ორგანოს“ ფუნქციებს ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ ასრულებს. აღნიშნულ სფეროში სააგენტოს მთავარი ფუნქციაა პენსიის ადმინისტრირების უზრუნველყოფა და ამ მიზნით მთელი რიგი უფლებამოსილებების განხორციელება. რაც შეეხება არასახელმწიფო სექტორში საპენსიო საკითხების რეგულირებას, „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სფეროში ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის სოციალური დაცვა, ასევე, მჭიდრო კავშირშია სადაზღვევო სფეროს გამართულ და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ფუნქციონირებასთან. ამის უზრუნველსაყოფად გამოცემულია „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის № 218 დადგენილება; „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვალი № 36 დადგენილება, რომლის თანახმად, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“; აგრეთვე, სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ამ სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების კომპეტენციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ევროსაბჭოს №2004/113 დირექტივით გათვალისწინებული დებულებები შინაარსობრივად საკმაოდ კომპლექსურია და მათი ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიცია განეკუთვნება როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ისე საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ კომპეტენციას. ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით კოორდინაცია მოახდინოთ დასახელებულ უწყებებთან და უზრუნველყოთ მათი ჩართულობა.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე		ალექსანდრე ზარამიძე